ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3410275

ნომერი: AR1522189

თარიღი : 11.07.2017

გაცემის თარიღი : 19.07.2017

გაცნობის თარიღი : 19.07.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ვასაძე , N2გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის ქ. 4

ორგანიზაცია:

- შპს სოლიდ დეველოპმენტი კოდი: 405112514

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის,

"დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1522189 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: # 01.11.12.018.239) დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს: როგორც უკვე AR1517712 განცხადების პასუხად გეცნობათ, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: # 01.11.12.018.239) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე 22/03/2015 წლის AR1292616 განცხადების საფუძველზე, შეთქნმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურს, მოცემული ტერიტორიის სატრანსპორო ქსელის დაგეგმარება და დაინეტერესებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.240) და მიმდებარე მიწის ნაკვეთებამდე მისასვევლი გზების მოწყობა მიზანეწონილად მიაჩნია განხორციელდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროეტთან გაერთიანებით ან/და აღნიშნულის შესაბამისად.
აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის 29/12/2016 წლის AR1466148 დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად (05/04/2017 წლის ბრძანება #3176865), შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა უნდა მოხდეს სამეზობლო მიჯნების გათვალისწინებით

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.